

# გთხოვთ, აპლიკაციის გამოყენებამდე ყურადღებით გაეცნოთ გამოყენების წესებს.

01.07.2022

## 1. შესავალი

- 1.1. წინამდებარე აპლიკაცია - „**Bodo**“ - ეკუთვნის და მისი მმართველია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოში რეგისტრირებული შპს BoDo.Delivery.GEO (ს/კ 400319794). წინამდებარე წესები და პირობები წარმოადგენს იურიდიულად სავალდებულო ხელშეკრულებას, რომელიც იდება შპს BoDo.Delivery.GEO -სა და თქვენს შორის.
- 1.2. წინამდებარე წესები და პირობები არეგულირებს თქვენს მიერ ვებ-გვერდი [www.bodo.delivery](http://www.bodo.delivery)-სა და აპლიკაციის გამოყენებასა და მისი მეშვეობით კომპანიისაგან მომსახურების მიღებას, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად გაქვთ გავლილი რეგისტრაცია ვებ-გვერდზე/აპლიკაციაში. აპლიკაციის ქართული ვერსიის გადმოწერა შესაძლებელია როგორც App Store-დან, ისე Google Play Store-დან.
- 1.3. აპლიკაცია **Bodo**-ში რეგისტრაციით, შესვლით, გამოყენებით ან/და მომსახურების მიღებით თქვენ წერილობით ეთანხმებით წინამდებარე წესებსა და პირობებს. წინამდებარე წესები და პირობები სავალდებულო ძალისაა ყველა შემთხვევაში, მიუხედავად **Bodo**-ს გამოყენებისა და რეგისტრაციის ფორმებისა. წესებსა და პირობებზე დათანხმება ავტომატურად გულისხმობს [პერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკას](#) და წესებისა და პირობების სხვა დანართებსა თუ შემადგენელ ნაწილებზე წერილობით თანხმობას.
- 1.4. წინამდებარე წესები და პირობები მოქმედებს მანამ, სანამ იარსებებს მომხმარებლის პროფილი ან/და მომხმარებელი სხვაგვარად იღებს აპლიკაციის მეშვეობით მომსახურებას/სხვაგვარად იყენებს აპლიკაციას.

## 2. ტერმინთა განმარტება

- 2.1. თუ თავად ტექსტიდან ცალსახად, სხვაგვარად არ გამომდინარეობს, წინამდებარე წესებსა და პირობებში გამოყენებული ტერმინებს აქვთ შემდეგ მნიშვნელობა:
  - 2.1.1. **კომპანია** - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოში რეგისტრირებული შპს BoDo.Delivery.GEO, რომელიც წარმოადგენს აპლიკაცია **Bodo**-ს მესაკუთრესა და მმართველს.
  - 2.1.2. **აპლიკაცია** - კომპანიის საკუთრებაში არსებული აპლიკაცია (მათ შორის და არამხოლოდ, ვებ-გვერდი) „**Bodo**“ (მიუხედავად გამოყენების პლატფორმისა), რომლის მეშვეობითაც კომპანია უწევს მომსახურებას მომხმარებლებს.
  - 2.1.3. **მომხმარებელი** - ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც მომსახურების მიღების მიზნით სარგებლობს აპლიკაციით.
  - 2.1.4. **მომსახურება** - აპლიკაციის საშუალებით, მომხმარებელთათვის პროდუქტებისა და მომსახურებების მიწოდება.
  - 2.1.5. **მხარე** - კონტექსტის გათვალისწინებით კომპანია ან მომხმარებელი.
  - 2.1.6. **მესამე პირი** - ნებისმიერი პირი, გარდა მხარისა.

- 2.1.7. **პროფილი** - მომხმარებლის ანგარიში, რომელიც შეიცავს, როგორც სავალდებულო, ისე არასავალდებულო ხასიათის ინფორმაციას, სისტემასთან დაკავშირებისას მომხმარებლის იდენტიფიკაციისთვის აუცილებელ ინფორმაციას, ავტორიზაციის, აღრიცხვის შესახებ ინფორმაციას, როგორცაა ბონუსები, სახელი, საბანკო ანგარიში, ტელეფონის ნომერი (სავალდებულო), ელექტრონული ფოსტის მისამართი და სხვა ინფორმაცია.
- 2.1.8. **შეთავაზება** - აპლიკაციის მეშვეობით, მომხმარებლისთვის გარკვეული პროდუქტის/ფასდაკლების/აქციის/მომსახურების შეთავაზება.
- 2.1.9. **ვირტუალური ბალანსი** - მომხმარებლის პროფილზე ასახული თანხა.
- 2.1.10. **წესები და პირობები** - წინამდებარე წესები და პირობები, რომლებიც არეგულირებს აპლიკაციის გამოყენების პირობებს.
- 2.1.11. **მისამართი** - მომხმარებლის მიერ მითითებული ადგილმდებარეობა/ადგილმდებარეობა, სადაც უნდა მოხდეს მომსახურების შესრულება (აპლიკაციის მეშვეობით შეძენილი პროდუქციის მიღება).
- 2.1.12. **კურიერი** - პირი, რომელიც მომხმარებელს მისამართზე აწვდის პროდუქციას/მომსახურებას.

### 3. მხარეთა განცხადებები და გარანტიები

- 3.1. **კომპანია** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:
  - 3.1.1. **აპლიკაცია** არის გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში და **მომხმარებელს** აქვს შესაძლებლობა მიიღოს **მომსახურება**.
  - 3.1.2. **აპლიკაციის** მეშვეობით **მომხმარებელზე** მიღებული ინფორმაცია არ იქნება გამოყენებული კანონსაწინააღმდეგო მიზნებისთვისა და მისი დამუშავება მოხდება მხოლოდ და მხოლოდ [კერსონალური მონაცემების დამუშავების პოლიტიკის](#) შესაბამისად.
  - 3.1.3. **აპლიკაციაში** ასახული ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს.
  - 3.1.4. **აპლიკაციის** საშუალებით **მომხმარებლისთვის** შეთავაზებული **პროდუქტები** შეესაბამება პროდუქტის მწარმოებლის დეკლარირებულ თვისებებს და აკმაყოფილებს **პროდუქტის სტანდარტებს**.
- 3.2. **მომხმარებელი** აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:
  - 3.2.1. გაეცნო და სრულად ეთანხმება **წესებსა და პირობებს**.
  - 3.2.2. **აპლიკაციის** გამოყენების დროს იქნება/არის ქმედუნარიანი, შეუძლია გაიაზროს **აპლიკაციის** გამოყენების მნიშვნელობა და არ იმყოფება რაიმე ისეთი ფსიქიკური ზემოქმედების ქვეშ, რაც ხელს შეუშლის, გაიაზროს მისი ქმედების მნიშვნელობა.
  - 3.2.3. მის მიერ **აპლიკაციაში** შეყვანილი ინფორმაცია რეალური, ზუსტი და კანონიერია.
  - 3.2.4. არ გამოიყენებს **აპლიკაციას** კანონსაწინააღმდეგო მიზნებისთვის და დაიცავს საქართველოს კანონმდებლობას **აპლიკაციის** გამოყენების პროცესში, მათ შორის და არამხოლოდ კანონმდებლობით დაწესებულ ასაკობრივ შეზღუდვებს (პროდუქციის მიხედვით).
  - 3.2.5. მისი არცერთი ქმედება არ ხელყოფს **კომპანიის**ან/და **მესამე პირების** უფლებებს.
  - 3.2.6. აცნობიერებს, რომ ლოგოზე, **აპლიკაციაზე**, **აპლიკაციის** დიზაინზე, ძირითად პროგრამული კოდზე, პროგრამული უზრუნველყოფასა და სხვა დაკავშირებულ მასალაზე ინტელექტუალური საკუთრების უფლება ეკუთვნის **კომპანიას**.
  - 3.2.7. აცნობიერებს, რომ **აპლიკაციის** გამოყენების დროს შესაძლოა წარმოიქმნას ხარვეზები/შეფერხებები, რომლებზეც **კომპანია** არ აგებს პასუხს.
  - 3.2.8. მიწოდება ხორციელდება მესამე პირთა მიერ (კურიერი) რომელიც არ არის დასაქმებული Bodo- ს მიერ.

### 4. აპლიკაციაში რეგისტრაცია

- 4.1. **აპლიკაციაში** არსებობს ორი სახის **მომხმარებელი**: რეგისტრირებული და არარეგისტრირებული **მომხმარებელი**.
- 4.2. არარეგისტრირებულ **მომხმარებელს** **აპლიკაციის** ჩართვის დროს შეჰყავს **მისამართი**. პროდუქციის/ მომსახურების შეძენის სურვილის შემთხვევაში, არარეგისტრირებული **მომხმარებელი** შეკვეთის დადასტურების შემდგომ ვალდებულია გაიაროს **რეგისტრაცია**, რის შემდეგაც იგი უთითებს იმ საბანკო ბარათის რეკვიზიტებს, საიდანაც მოხდება ანგარიშსწორება.
- 4.3. რეგისტრაციისთვის, **მომხმარებელი აპლიკაციის** შესაბამის გრაფაში უთითებს მობილურის ნომერს რომელზედაც მას გაეგზავნება მოკლეთქესტური შეტყობინება ან სხვაგვარად მოხდება მისი ვერიფიკაცია.
- 4.4. რეგისტრაციის შემდგომ, **მომხმარებელს** აქვს შესაძლებლობა **პროფილზე**, შესაბამის გრაფებში, ნებაყოფლობით შეიყვანოს მონაცემები.
- 4.5. **პროდუქციის** შეკვეთა თქვენი **მომხმარებლის ანგარიშის საშუალებით, მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ. რეგისტრაცია ერთი მოწყობილობის მეშვეობით ხორციელდება, მხოლოდ ერთი ანგარიშით და შესაძლებელია მხოლოდ ორი საკრედიტი დავალიანების კალათის გახსნა თითო ანგარიშიდან. თქვენ ხართ პასუხისმგებელი თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტეზე.**

## 5. პროდუქციის შეძენა და გადახდის წესი

- 5.1. **აპლიკაციის** მეშვეობით **მომხმარებლის** მიერ პროდუქციის/მომსახურების შეძენის შემთხვევაში, ანგარიშსწორება წარმოებს უნაღლო ანგარიშსწორების გზით.
- 5.2. **მომხმარებლის** მიერ არჩეული შეთავაზებები/პროდუქტები აისახება **მომხმარებლის** კალათში, სადაც მას აქვს შესაძლებლობა შეცვალოს, დაამატოს ან წაშალოს არჩეული პროდუქტები. ასევე, მომხმარებელი ცვლის ან ადასტურებს მითითებულ **მისამართს**.
- 5.3. **მისამართისა** და პროდუქტების/მომსახურების დადასტურების შემდგომ, **მომხმარებელი** გადადის თანხის გადახდის ეტაპზე.
- 5.4. **მომხმარებელი** ვალდებულია **აპლიკაციის** შესაბამის გრაფაში შეიყვანოს იმ საბანკო ბარათის რეკვიზიტები, რომლითაც სურს მას ტრანზაქციის განხორციელება.
- 5.5. **აპლიკაციაში** ბარათის მონაცემების შეყვანისა (ბარათის დამატების) და შეკვეთის დადასტურების შემდგომ, **კომპანია მომხმარებლის** მიერ მითითებული საბანკო ანგარიშიდან ჩამოაჭრის **მომხმარებელს** პროდუქციის/მომსახურების ღირებულებას.
- 5.6. იმ შემთხვევაში, თუ **მომხმარებელს** არ აქვს გავლილი რეგისტრაცია, პროდუქციის/მომსახურების შესაძენად მან უნდა გაიაროს **აპლიკაციაში** რეგისტრაცია მობილურის ნომრის მითითებითა და მოკლეთქესტური შეტყობინების მიღებით. **მომხმარებელი** ასევე უთითებს იმ საბანკო ბარათის მონაცემებს, რომლის მეშვეობითაც უნდა მოხდეს თანხის გადახდა.
- 5.7. პროდუქციის/მომსახურების შესაძენად, **მომხმარებელი** გადამისამართდება ბანკის ან/და <https://stripe.com>-ის გადახდის ონლაინ სისტემაზე (Payment Gateway), საბანკო ბარათის მონაცემების/გადახდის დადასტურების მიზნით. გადახდის ონლაინ სისტემასთან დაკავშირება და ინფორმაციის გადაცემა ხდება უსაფრთხო რეჟიმში SSL დამიფერის პროტოკოლის გამოყენებით.
- 5.8. **კომპანია** დამოუკიდებლად განსაზღვრავს **აპლიკაციის** მეშვეობით **მომხმარებელთათვის შეთავაზების** პირობებს, როგორებიცაა ფასი, ფასდაკლება, აქცია და ა.შ.
- 5.9. საუკეთესო სერვისის უზრუნველსაყოფად, ჩვენ მხოლოდ მიწოდების ზონის ფარგლებში მოგაწვდით შეკვეთას. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, უარი ვთქვათ თქვენ მიერ ჩვენთან განთავსებულ ნებისმიერ შეკვეთაზე. პროდუქციის ფასები შეიძლება შეიცვალოს წინასწარი გაფრთხილების გარეშე. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას გაგაუქმოთ ნებისმიერი შეკვეთა, ნებისმიერ დროს. Bodo არ არის პასუხისმგებელი თქვენს ან მესამე პირთა წინაშე, ნებისმიერი განახლების, ფასების ცვლილების, ნებისმიერი პროდუქტის მიწოდების შეჩერების ან პროდუქტის მიუწვდომლობისთვის. Bodo იტოვებს უფლებას შეზღუდოს თქვენი შეკვეთა ან კონკრეტული პროდუქტის რაოდენობა, რომელიც შეგიძლიათ შეუკვეთოთ. შეკვეთის ცვლილების

სურვილის შემთხვევაში, შესაძლოა შეიცვალოს შეკვეთილი პროდუქციის ფასები და მიწოდების ვადები. საბაზრო პირობებიდან გამომდინარე გარკვეული პროდუქცია შეიძლება მიუწვდომელი იყოს, რაც ჩვენს კონტროლს არ ექვემდებარება, ან იყოს მიუწვდომელი - პროდუქციის ხარისხის ჩვენ მაღალ სტანდარტთან შეუსაბამობის გამო. თქვენ მიერ შეკვეთილი პროდუქციის არ არსებობის შემთხვევაში, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, შეკვეთილი პროდუქცია შევცვალოთ თითქმის იდენტური პროდუქციით. თუ თქვენ არ გსურთ პროდუქტის ჩანაცვლება, გთხოვთ შეგვატყობინოთ. თუ პროდუქტის ცვლილება ან მიწოდება შეუძლებელია, ასეთ შემთხვევაში, პროდუქციის ღირებულება არ ჩამოიჭრება ანგარიშიდან. თუ თქვენ შემთხვევით გადაიხდით პროდუქტის ღირებულებას, რომლის მიწოდებაც არ განხორციელდა, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ და ჩვენ დაგიბრუნებთ ამ ნივთის ღირებულებას. შეკვეთილი პროდუქციის ღირებულების ანაზღაურების დასრულების შემდგომ, პროდუქციის ფასების შეუცვლელია გარანტირებულია. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, მოვითხოვოთ შეკვეთის მინიმალური თანხა, ყოველგვარი გადასახადების და მიწოდების საფასურის გარეშე. თქვენ შეგიძლიათ გააუქმოთ შეკვეთები, უშუალოდ პლატფორმის საშუალებით გარკვეული დროის განმავლობაში. მას შემდეგ, რაც შეკვეთის, პლატფორმის საშუალებით ცვლილება შეუძლებელია, ის მოდის თქვენთან.

- 5.10. პირველადი რეგისტრაციის მომენტიდან 30 დღის განმავლობაში, თქვენს მიერ განთავსებულ პირველ შეკვეთაზე შეგიძლიათ ისარგებლოთ, ჩვენი სპეციალური შეთავაზებით. თქვენს პირველ შეკვეთაზე შეუკვეთეთ მინიმუმ 30.01 ლარის პროდუქცია და 10 ლარი ავტომატურად გამოიქვითება თქვენ მიერ ასანაზღაურებელი ჯამური ღირებულებიდან. გადასახადები და მოსაკრებლები შედის. შეთავაზება მოქმედებს მხოლოდ ახალი მომხმარებლებისთვის. ერთი შეთავაზება ერთ ტელეფონის ნომერზე. ზემოაღნიშნული შეთავაზების გამოყენება, დაჯამება, გაერთიანება სხვა შეთავაზებებთან შეუძლებელია. შეთავაზება მოქმედია მხოლოდ იმ შეკვეთებზე, რომელიც განთავსებულია პლატფორმის მეშვეობით. შეთავაზება მოქმედებს პირველადი რეგისტრაციის მომენტიდან 30 დღის განმავლობაში, თქვენს მიერ განთავსებულ პირველ შეკვეთაზე. აღნიშნულის განაღდება შეუძლებელია. შეთავაზება არ არის მოქმედი ის, სადაც ის აკრძალულია. შესაძლოა გათვალისწინებულ იქნას სხვა პირობები და გამონაკლისები.
- 5.11. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას გავაუქმოთ (I) შეკვეთა; ან (ii) მიწოდებას ვუზრუნველყოფ თ რამოდენიმე კურირის მეშვეობით, იმ შემთხვევაში, თუ შეკვეთის რაოდენობა აღემატება იმ რაოდენობას, რომელიც განსაზღვრულია ერთი კურიერის მიერ მიწოდებისას.
- 5.12. მიწოდება ხორციელდება, თქვენ მიერ, შეკვეთის გაფორმებისას მითითებულ მისამართზე. მიწოდების მისამართი არ უნდა ემთხვეოდეს ბილინგის მისამართს. მითითებული მისამართის სიზუსტეზე, პასუხისმგებელი ხართ თქვენ. აუცილებელია ასევე დაიცვათ აპლიკაციაში არსებული თანმდევნი ინსტრუქცია, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
- 5.13. მიწოდების წარუმატებლობის შემთხვევაშიც, თქვენ ჩვულებრივ ჩამოგჭრებათ შეკვეთილი პროდუქციის ღირებულება და მიწოდების თანხა. მიწოდების წარუმატებლობის მიზეზი შეიძლება იყოს, მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს:
  - i. კურიერისთვის კარების გაუღებლობა, არ პასუხობთ მითითებულ ნომერზე, რომელზეც რეკავს კურიერი შეკვეთის გადაცემის მიზნით. პასუხობთ კურიერს, თუმცა შემდგომ მიუწვდომელი ხართ გარკვეული დროის განმავლობაში.
  - ii. კურიერი უარს აცხადებს მიწოდებაზე, თუკი შეკვეთილ პროდუქციაზე ვრცელდება ასაკობრივი შეზღუდვა.

## 6. გადახდა.

- 6.1. ჩვენ ვიყენებთ მესამე მხარის გადახდის პროცესორს („გადახდის სისტემა“), რათა მოგაწოდოთ ასანაზღაურებელი თანხის ღირებულება, თქვენთან დაკავშირებული გადახდის ანგარიშის მეშვეობით, რომელიც მითითებულია პლატფორმაზე. გადახდის დამუშავება განხორციელდება

წინამდებარე და სხვა, თანხმდები გადახდის სისტემის წესების და პირობების, კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად. ამჟამად ვიყენებთ stripe-ს, როგორც გადახდის სისტემას. თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ წვდომა stripe- ის გამოყენების პირობებზე და კონფიდენციალურობის პოლიტიკაზე. ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი, შეცდომებზე ან სხვა, გადახდის სისტემის ქმედებასა თუ უმოქმედობაზე. პლატფორაზე პროდუქციის შეკვეთისას, თანხმდებით, ანაზღაუროთ შეკვეთილ პროდუქციასთან დაკავშირებული, იმ მომენტისთვის არსებული ყველა დაკავშირებული ხარჯი. გადახდის პირობების შესაბამისად. ჩვენ გვეძლევა უფლება, გადახდის სისტემის მეშვეობით, თქვენ მიერ არჩეული გადახდის მეთოდის გამოყენების შედეგად ჩამოვჭრათ შესაბამისი თანხა, მითითებული ანგარიშიდან. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, გამოვასწოროთ ნებისმიერი, მათ შორის, გადახდის ოპერატორის მიერ დაშვებული შეცდომა, მაშინაც კი თუ მან გამოითხოვა, ან მიიღო გადახდა. თქვენი გადახდის პირობები, დამოკიდებული იქნება თქვენ მიერ არჩეულ გადახდის მეთოდზე და შესაძლოა განისაზღვრეს, თქვენსა და ფინანსურ დაწესებულებას (საკრედიტო ემიტენტი თუ ნებისმიერი სხვა, თქვენ მიერ არჩეული გადახდის მეთოდის მომწოდებელ პირი) შორის არსებული შეთანხმებით. თუ გადახდის მიღება ვერ განხორციელდება გადახდის სისტემის მეშვეობით. თქვენ თანხმდებით ანაზღაუროთ შესაბამისი, ანგარიშზე არსებული თანხები, ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში. თქვენ უნდა მიუთითოთ თქვენს ანგარიშთან ( billing account) დაკავშირებით, სრული და უტყუარი ინფორმაცია. თქვენ უნდა უზრუნველყოთ მიმდინარე ანგარიშის დაცვის მიზნით, მასთან დაკავშირებული, სრული ინფორმაციის განახლება, მისი ცვლილების შემთხვევაში. მაგ: (ანგარიშის ნომრის, საკრედიტო ბარათის კოდის ცვლილება, საკრედიტო ბარათის ვადის მითითება). დაუყოვნებლივ უნდა შეგვატყობინოთ ჩვენ ან ჩვენი გადახდის სისტემას, თუ თქვენი გადახდის მეთოდი გაუქმებულია ( მაგ: დაკარგვა ან ქურდობა) ან თუ ხართ ინფორმირებული, უსაფრთხოების წესების შესაძლო დარღვევაზე, მაგ: როგორცაა, თქვენი მომხმარებლის და პაროლის არასანქცირებული გამჟღავნება ან გამოყენება, რადგანაც ასეთი ინფორმაციის ცვლილება აღინიშნება თქვენს საანგარიშო მონაცემებში.

## 7. პროდუქციის/მომსახურების დაბრუნება

- 7.1. იმ შემთხვევაში, თუ მოხდა არაშესაბამისი პროდუქციის (მაგალითად, დაზიანებული კვერცხები, შეფუთვის მთლიანობის დარღვევა, გაჭყლეტილი ხილი/ბოსტნეული და ა.შ) გადაცემა **კურიერის** მიერ, **მომხმარებელმა** უნდა მოახდინოს პროდუქციის ფოტოფიქსაცია და მისი გადმოგზავნა ელექტრონულ ფოსტაზე [info@bodo.delivery](mailto:info@bodo.delivery) ან აღწეროს სიტუაცია **აპლიკაციის** საშუალებით. ამის შემდგომ, **კომპანია** აუნაზღაურებს გაფუჭებული საქონლის ღირებულებას **მომხმარებელს ვირტუალურ ბალანსზე. მხარეთა** შეთანხმებით, შესაძლებელია ვირტუალური ბალანსიდან **მომხმარებლის** შესაბამის საბანკო ანგარიშზე თანხის დაბრუნება 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში.

## 8. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

- 8.1. **კომპანია** სრულად თავისუფლდება **მომხმარებელს** ადა **მესამე პირებს** შორის წარმოშობილი ურთიერთობიდან გამომდინარე დავების, უთანხმოებების, უზუსტობებისა თუ ნებისმიერი სახის პასუხისმგებლობისგან.

- 8.2. მომხმარებლები აპლიკაციის გამოყენებით აცხადებენ და გამოთქვამენ თანხმობას, რომ ისინი სრულად იაზრებენ კომპანიის პასუხისმგებლობის ფარგლებს და უარს ამბობენ მის მიმართ დამატებით ნებისმიერი სახის მოთხოვნაზე.
- 8.3. კომპანია არ იღებს პასუხისმგებლობას და არ იძლევა გარანტიას მომხმარებლის ან/და მესამე პირების ქმედებებსა თუ ვალდებულებებზე. ასევე, არ იღებს პასუხისმგებლობას მომხმარებელთა ან/და მესამე პირთა ქმედებების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

## 9. ინტელექტუალური საკუთრება

- 9.1. აპლიკაციის დიზაინზე, ძირითად პროგრამული კოდზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე, ლოგოსზე, სასაქონლო ნიშნებსა და სხვა მასალაზე ინტელექტუალური საკუთრება, საავტორო და მომიჯნავე უფლებები წარმოადგენს კომპანიის საკუთრებას.
- 9.2. კომპანიის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, დაუშვებელია ნებისმიერი სახით, მის საკუთრებაში არსებული სასაქონლო ნიშნების, საავტორო და მომიჯნავე უფლებების ხელყოფა, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის მოდიფიცირება, ნებისმიერი სახით გამოყენება, თუ სხვაგვარი ქმედება, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის კომპანიის ინტერესებთან.

## 10. პერსონალური მონაცემები და მათი დამუშავება

- 10.1. მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დამუშავების უფლება შესაბამისი მიზნებისთვის აქვს კომპანიას ან/და კომპანიის მიერ დასახელებულ პირს, რომელიც ვალდებულია მონაცემები დაამუშავოს მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული მიზნებითა და კონფიდენციალობის დაცვით.
- 10.2. პერსონალურ მონაცემთა შეგროვებისა თუ სხვაგვარი დამუშავების წესები განისაზღვრება [პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის](#) მიხედვით, რომელიც თან ერთვის [წესებსა და პირობებს](#) და წარმოადგენს მის არსებით, შემადგენელ ნაწილს.

## 11. ცვლილებების შეტანა წესებსა და პირობებში

- 11.1. კომპანია უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ცალმხრივად, აპლიკაციაში განთავსების გზით შეიტანოს ცვლილებები გამოყენების წესსა და პირობებში. აღნიშნული ცვლილებები ძალაში შევა ცვლილების შეტანისთანავე. მომხმარებლის მიერ აპლიკაციის გამოყენების გაგრძელება ავტომატურად ნიშნავს თანხმობას შეცვლილ პირობებზე.

## 12. არაკანონიერი აქტივობის ან/და კონტენტის დაბლოკვა

- 12.1. იმ შემთხვევაში, თუკი კომპანიას შეექმნება საფუძვლიანი ეჭვი, რომ აპლიკაციის გამოყენებისას ან/და ტრანზაქციის განხორციელებისას ირღვევა წინამდებარე გამოყენების წესი და პირობები ან/და კომპანიას შექმნება ეჭვი, რომ ტრანზაქციები არაკანონიერი, თაღლითური და არაავტორიზებულია, კომპანია უფლებამოსილია, გააჩეროს ასეთი ტრანზაქცია და დაბლოკოს ნებისმიერი პირის პროფილი, ვინც მსგავს აქტივობას ახორციელებს, სანამ კომპანია არ შეისწავლის კონკრეტულ ფაქტებს. კომპანია ასევე უფლებამოსილია, მსგავს შემთხვევებში მიმართოს შესაბამის ფინანსურ ინსტიტუტებს და სახელმწიფო ორგანოებს და მიაწოდოს მათ ინფორმაცია.
- 12.2. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მომხმარებლის ქმედებებში დააფიქსირებს არაკანონიერ ნიშნებს (მაგ.: კანონმდებლობით დადგენილი ასაკობრივი შეზღუდვებისა და მოთხოვნების დარღვევა და ა.შ) იგი უფლებამოსილია ასეთ შემთხვევებში დროებით ან სამუდამოდ დაბლოკოს მომხმარებლის პროფილი.

### 13. დავების გადაწყვეტა და გამოსაყენებელი სამართალი

- 13.1. კომპანიასა და მომხმარებელს შორის წარმოშობილი ნებისმიერი სახის დავა/უთანხმოება უნდა მოგვარდეს ურთიერთშეთანხმების გზით.
- 13.2. დავის წარმოშობიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო, ქართული სამართლის მიხედვით.
- 13.3. კომპანიის სასარგებლოდ მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსრულებაში.

### 14. გარდამავალი დებულებები

- 14.1. წინამდებარე დოკუმენტი შედგენილია ქართულ და რუსულ ენებზე. დოკუმენტებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება დოკუმენტის ქართულ ვარიანტს.
- 14.2. მხარეები აცხადებენ, რომ წინამდებარე წესები და პირობები შედგენილია მათთვის გასაგებ ენაზე, მათ არ გააჩნიათ რაიმე სახის კითხვა/ბუნდოვანება, სრულად იაზრებენ და აცნობიერებენ წესებითა და პირობებით დადგენილი ნორმების შინაარსს და რომ წესები და პირობები განთავსებულია მათთვის ხელსაყრელ და თვალსაჩინო ადგილზე.
- 14.3. გარდა აღნიშნული წესებისა და პირობებისა, კომპანიასა და მომხმარებლებს შორის ურთიერთობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობითა და [პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკით](#).
- 14.4. წესებისა და პირობების ცალკეული ნაწილების ბათილობა არ იწვევს მთლიანი დოკუმენტის ან/და მისი სხვა ნაწილების ბათილობას.
- 14.5. ის საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე წესებითა და პირობებით, [პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკითა](#) და [მხარეთა შორის გაფორმებული ინდივიდუალური ვალდებულებით](#) სამართლებრივი ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.
- 14.6. აპლიკაციის მომხმარებელი მხარეები ადასტურებენ, რომ თითოეულ მათგანს აქვს სრული უფლება შევიდეს წინამდებარე ურთიერთობაში და საამისოდ მოპოვებული აქვს ყველა საჭირო უფლებამოსილება და/ან თანხმობა.
- 14.7. კომპანია უფლებამოსილია მომხმარებლის მიმართ მოთხოვნა დაიკმაყოფილოს ურთიერთგაქვითვის გზით.

- 14.8. თუ ინდივიდუალური ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, **მხარეთა** შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც წინამდებარე წესი და პირობები ითვალისწინებს კომუნიკაციის ზეპირ სატელეფონო ფორმას. **მხარეს** წერილობითი შეტყობინება შეიძლება მიეწოდოს პირადად, გაეგზავნოს კურიერის, საფოსტო გზავნილის საშუალებით, **აპლიკაციის** გზით ან/და მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.
- 14.9. შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება მისი მიღების დღეს, თუ იგი დადასტურებულია ადრესატის მიერ. იმ შემთხვევაში, როდესაც შეტყობინება არ არის დადასტურებული, იგი ჩაბარებულად ჩაითვლება წესებისა და პირობების 13.8 პუნქტით გათვალისწინებული წესით გაგზავნიდან მეორე სამუშაო დღეს.
- 14.10. ნებისმიერი სახის ინფორმაციის, მათ შორის და არა მხოლოდ, ტელეფონის ნომრის, მისამართის, ცვლილების შემთხვევაში, **მხარე** ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 3 (სამი) კალენდარული დღისა აცნობოს **კომპანიას**.
- 14.11. **მომხმარებლები აპლიკაციის** გამოყენებით აცნობიერებენ და ადასტურებენ, რომ **კომპანიას** აქვს შესაძლებლობა დაეყრდნოს მათ მიერ მოწოდებულ დადასტურებებს, ლიცენზიებს, ნებართვებს, სარეგისტრაციო მონაცემებს. უზუსტობის ან/და შეუსაბამობის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა ეკისრება შესაბამისი დოკუმენტის/მონაცემის/ინფორმაციის წარმდგენს.
- 14.12. **მომხმარებელი** იძლევა თანხმობას, რომ ფასები, აქციები პრომოკოდებით, ფასდაკლებების ოდენობა და სხვა დაკავშირებული მაჩვენებლები შესაძლოა შეიცვალოს ცალმხრივად, **მომხმარებლის** წინასწარი გაფრთხილების გარეშე.
- 14.13. **მხარეები** იღებენ ვალდებულებას **აპლიკაციასთან** ან/და **მომსახურებასთან** დაკავშირებული ნებისმიერი ხარვეზის შემთხვევაში აცნობონ **კომპანიას**.
- 14.14. **მომხმარებელი** იძლევა ერთმნიშვნელოვან თანხმობას **კომპანიისაგან** მიიღოს შეტყობინებები, აქციები, რეკლამები, პრომოუშენები, შეთავაზებები და სხვა ტიპის ინფორმაცია, ნებისმიერი ფორმით.
- 14.15. **აპლიკაციის** გამოყენებით ან/და დილაკზე „ვეთანხმები“ დაჭერით, თქვენ გამოხატავთ წერილობით თანხმობას წინამდებარე **წესებსა და პირობებსა** და მის შემადგენელ ნაწილებზე.



# პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა

01.12.2021

**მომხმარებელთა / რეგისტრირებულ მომხმარებელთა** პერსონალური მონაცემების დამუშავება, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკის (შემდგომში „**პოლიტიკა**“) საფუძველზე, ხორციელდება **კომპანიის ან/და კომპანიის** მიერ დასახელებული მესამე პირების მიერ.

**მომხმარებლის** მიერ წესებსა და პირობებზე თანხმობა („ვეთანხმები“-ს მონიშვნა) ჩაითვლება პირის მიერ წერილობით თანხმობად პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკაზე.

**მომხმარებლის / რეგისტრირებული მომხმარებლის** მიერ **კომპანიისთვის** ინფორმაციის მიწოდება ატარებს სავალდებულო ხასიათს. ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში, **კომპანია** ვერ გაუწევს ჯეროვან მომსახურებას **მომხმარებელს/რეგისტრირებულ მომხმარებელს**.

## 1. ტერმინთა განმარტება

თუ თავად კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, **პოლიტიკაში** გამოყენებულ ტერმინებს აქვთ **წესებისა და პირობების** მიხედვით მინიჭებული მნიშვნელობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არის კოლიზია წინამდებარე დოკუმენტის 1-ლი მუხლითა და წესებითა და პირობებით გათვალისწინებულ მნიშვნელობებს შორის. კოლიზიის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებულ მნიშვნელობებს.

## 2. პერსონალური მონაცემები

2.1. **მომხმარებლისთვის/რეგისტრირებული მომხმარებლისთვის აპლიკაციით** ჯეროვანი სარგებლობისა და **მომხმარებელთათვის** მაღალხარისხიანი **მომსახურების** გაწევის მიზნით, **კომპანია** აგროვებს შემდეგ მონაცემებს:

2.1.1. მონაცემებს, რომლებსაც **კომპანიას** მიეწოდება **მომხმარებლის/რეგისტრირებული მომხმარებლის** მიერ პირადად:

➤ მონაცემები:

- მობილურის ნომერი;
- ელექტრონული ფოსტა;
- სახელი;
- გვარი;
- ბანკის ბარათ(ებ)ი;
- ადგილმდებარეობა;

➤ დამატებითი ინფორმაცია, რომელსაც **მომხმარებელი / რეგისტრირებული მომხმარებელი** **კომპანიას** აწვდის საკუთარი ინიციატივით, წერილობით ან/და ზეპირად.

2.1.2. მონაცემები, რომლებსაც კომპანია იღებს მომხმარებლისგან/რეგისტრირებული მომხმარებლისგან დამოუკიდებლად.

- მომხმარებლის / რეგისტრირებული მომხმარებლის IP მისამართი;
- გამოყენებული ბრაუზერის ტიპები და ვერსიები;
- წვდომის სისტემის მიერ გამოყენებული ოპერაციული სისტემა;
- წვდომის თარიღი და დრო;
- ჩვენი სერვისის გვერდებს, რომლებსაც ეწვიეთ;
- რეფერერის URL (აღრე მონახულებული გვერდი);
- მობილური მოწყობილობის ტიპი, რომელსაც იყენებთ;
- თქვენი მობილური მოწყობილობის უნიკალური ID;
- თქვენი მობილური ოპერაციული სისტემა;
- მობილური ინტერნეტ ბრაუზერის ტიპი;
- მომხმარებლის ადგილმდებარეობა;
- უნიკალური მოწყობილობის იდენტიფიკატორები და სხვა დიაგნოსტიკური მონაცემები.

### 3. მონაცემთა დამუშავების მიზანი

3.1. კომპანიის ან/და კომპანიის მიერ დასახელებული პირის მიერ, მომხმარებელთა/ რეგისტრირებულ მომხმარებელთა პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული მიზნებით.

3.2. კომპანიის ან/და კომპანიის მიერ დასახელებული პირის მიერ მომხმარებელთა/ რეგისტრირებულ მომხმარებელთა პერსონალურ მონაცემთა დამუშავება ხდება კომპანიის მიერ მომხმარებელთათვის/რეგისტრირებულ მომხმარებელთათვის ჯეროვანი და მაღალხარისხიანი მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფისა და ვებ-გვერდით შეუფერხებელი სარგებლობისთვის.

3.3. მონაცემთა დამუშავების ზოგადი მიზნები:

3.3.1. აპლიკაციის გამოყენების დახვეწა და გაუმჯობესება.

3.3.2. მომხმარებელთათვის/რეგისტრირებულ მომხმარებელთათვის მომსახურების გაწევა.

3.3.3. პროდუქტის მიტანის სერვისით სარგებლობის შესაძლებლობის მიცემა მომხმარებლისთვის.

3.3.4. საექვო/კანონსაწინააღმდეგო ტრანზაქციებისა თუ ქმედებების აღმოჩენა/დაბლოკვა.

3.3.5. თაღლითობისა და სხვა შესაძლო სამართალდარღვევების აღკვეთა.

3.3.6. სტატისტიკების მაქსიმალური სიზუსტით შედგენა და ამით სერვისის გაუმჯობესება.

3.4. მონაცემთა დამუშავების კონკრეტული მიზნები:

3.4.1. მობილურის ნომრით კომპანია უზრუნველყოფს მომხმარებელთან მუდმივად კონტაქტზე ყოფნას, მის ინფორმირებას შეკვეთასთან დაკავშირებით და მის ინფორმირებას პროდუქტის ჩაბარებასთან დაკავშირებით;

3.4.2. ელექტრონული ფოსტით კომპანია უზრუნველყოფს მომხმარებელთან კონტაქტს, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, როდესაც მომხმარებელი მიუწვდომელია ტელეფონის ნომერზე ან აღარ არსებობს ნომერი. ასევე, ელექტრონული ფოსტის საშუალებით კომპანია უზრუნველყოფს მომხმარებლისათვის სერვისთან დაკავშირებული განახლებული ინფორმაციის, აქციების და სხვა ცნობების/ინფორმაციის მიწოდებას;

3.4.3. მომხმარებლის სახელი და გვარი გამოიყენება მომხმარებლის იდენტიფიცირებისათვის.

3.4.4. მომხმარებლის საბანკო ბარათის გამოიყენება კომპანიის მომსახურების ასანაზღაურებლად.

3.4.5. მომხმარებლის ადგილსამყოფელი გამოიყენება შეკვეთის ჩასაბარებლად.

- 3.5. რეგისტრირებული მომხმარებლების შემთხვევაში, მონაცემთა დამუშავება ასევე გამოიყენება მარკეტინგული მიზნებისა და რეგისტრირებულ მომხმარებელზე მაქსიმალურად მორგებული შეთავაზებების/შეღავათების შეთავაზებისათვის.
- 3.6. რეგისტრირებულ მომხმარებელს უფლება აქვს, კომპანიას ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა.

#### 4. მონაცემთა სხვა პირებზე გადაცემა

- 4.1. კომპანია უფლებამოსილია მომხმარებელთა/რეგისტრირებულ მომხმარებელთა მონაცემები, პოლიტიკაში დოკუმენტში გაწერილი მიზნებისათვის, კონფიდენციალობის დაცვით, გადასცეს მესამე პირებს, მათ შორის და არამხოლოდ საკურიერო კომპანიებს, ფოსტას და ა.შ.
- 4.2. წინამდებარე დოკუმენტის 4.1. პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების გამოყენების შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია გარეშე პირს გადასცეს მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული მიზნის მისაღწევად საჭირო ინფორმაცია.

#### 5. ცვლილებები

- 5.1. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკაში, შესაძლოა დროდადრო შევიდეს გარკვეული ცვლილებები/დამატებები, რომლებიც ავტომატურად აისახება ვებ-გვერდზე/აპლიკაციაში. ვებ-გვერდის/აპლიკაციის გამოყენებით, თქვენ ეთანხმებით აღნიშნულ ცვლილებებსა თუ დამატებებს. განსაკუთრებული მნიშვნელობის ცვლილებების/დამატების შემთხვევაში, კომპანია რეგისტრირებულ მომხმარებლებს ვებ-გვერდის/აპლიკაციის ან/და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით დამატებით გაცნობებთ აღნიშნულის შესახებ.

#### 6. შენიშვნები

- 6.1. კომპანია აცნობიერებს თითოეული მომხმარებლის / რეგისტრირებული მომხმარებლის პერსონალური მონაცემის დაცულობისა თუ დამუშავების წესების მნიშვნელობას.
- 6.2. კომპანიისთვის მნიშვნელოვანია თითოეული მომხმარებლის/რეგისტრირებული მომხმარებლის აზრი და დამოკიდებულება, მათ შორის და არამხოლოდ, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ.
- 6.3. კომპანია გამოთქვამს სურვილსა და მზაობას ნებისმიერი შენიშვნის/რჩევის შემთხვევაში, გაგებით მოეკიდოს მომხმარებლის/რეგისტრირებული მომხმარებლის მიერ წამოყენებულ პრეტენზიას, შესაბამისად, აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ [info@bodo.delivery](mailto:info@bodo.delivery).